კვირა, 1917 წ. ღვინობისთვის 8 (21) № 221
წელიწადი მესამე

კვირა, 1917 წ. ღვინობისთვის 8 (21) № 221
ფასი 15 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დასრულებამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე— 30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## გაზეთის შინაარსი

### ცნობებიდან

გერმანელებმა ოეზელის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კუნძული მოონი დაიპყრეს. საზღვაო ოპერაციაში გერმანელთა ფლოტის ორი-მესამედი მონაწილეობს. საზღვაო მინისტრი ვერდერევსკი მომქმედ ფლოტს დაუბრუნდა.

კერენსკი პეტროგრადს დაბრუნდა. პარიზის კონფერენციაზე სკობოლევს გზავნიან. გერმანელები საზამთრო კამპანიისთვის ემზადებიან. შეერთებულ შტატებმა რუსეთს 50 მილიონი დოლარი ასესხეს.

### წერილებიდან

გრ. ვეშაპელი. დამფუძნებელი კრების არჩევნები.
გ. გვაზავა. საქართველო საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით.

დ. კასრაძე. თავადი თოდა.

მ. საირხელი. მთლიანი საქართველო.
კ. მარტვილელი. არტაანის მხარე.
კორესპონდენცია. ქართლიდან და ქიზიყიდან.

მთიელთა ყრილობა კავკავში.

გულდათუთქულნი მეუღლე სპირიდონი შვილებით: ნიკიტა, პავლე, ანასტასია და გიორგი, რძალი ეკატერინე და შვილიშვილი ჟორჟიკა ამით აუწყებენ ნათესავთ, მოყვარეთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ პარასკევს 7-ს ოქტომბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

პელაგია მახუ კვიტატიანის ასული
ჩიტაიასი

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 6 საათზე, ქ. ფოთში საკუთარ სახ. (ლიილინის ქუჩა). დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3—821—1

გულდათუთქული მეუღლე ნიკო დიმიტრის ძე მახარობლიძე შვილებით და ღრმად დამწუხრებული მული თებრო მახარობლიძის ასული, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 10 ღვინობისთვეს, მაცხოვრის ღვთისმშობლის ეკლესიაში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი, უდროოდ გარდაცვალებულის ძვირფასი და დაუვიწყარი

მარიამ (მაშო) დორთქიფანიძის ასული
მახარობლიძის

სულის მოსახსენებლად. 1—819—1

გულდათუთქული ბზობლები სოფიო გრიგოლის ასული და ვარდენ (ვარლამ) ალექსანდრეს ძე ბეგლიანი, ბიძა ალექსანდრე აბელიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ მოულოდნელით და უეცრათ პატარა

ნაშას

პირველი გიმნაზიის მოწაფის გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 8 ოქტომბერს. მიცვალებულის გამოსვენება დილის 10 საათზე (პრიუტის შესახვევიდან, 8) კალოუბნის ეკლესიაში, იქიდან წაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზედ დასაკრძალავად. 1—822—1

### ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა საზოგადოების საგანგებო კრების

გაგრძელება დანიშნულია 8 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში.

კრების საგანი: გამგე კომიტეტის არჩევნები. 2—816—2

ნინო იაკობის ასული, თეკლე დავითის ასული და პელაგია ანტონის ასული დაფქვიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის, მეუღლის და ძმის

დავით ანტონის ძის
დაფქვიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

ცხედარს გამოასვენებენ დღეს, სწორედ დილის 10 საათზე, განსვენებულის ბინიდან (ნიკოლოზის ქუჩა, № 45) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—820—1

ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს დილის 11 საათისთვის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის მიერ ქ. თბილისში მოწვეულია

### სასწრაფო თათბირი

მთავარ კომიტეტის და პროვინციის კომიტეტთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

თათბირის საგანია:
1) დამფუძნებელი კრების არჩევნები.
2) პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა.
3) საორგანიზაციო საკითხები.

თათბირზე დასასწრებლად დელეგატების არჩევა უნდა მოხდეს შემდეგის წესით: ქალაქები: ქუთაისი, ბაქო და ბათუმის კომიტეტები ჰგზავნიან სამ-სამს წარმომადგენელს. სამაზრო კომიტეტები—ორ-ორს, და სხვა დაბა-ქალაქები და სარაიონო კომიტეტები—თითოს. (1—795—1)

### გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა მოიწვევს მასწავლებელთ:

ქართული ენისა, ანგარიშ-გეოგრაფია-ბუნების მეტყველებისა და ლათინური ენისას. მსურველთ თხოვნები დოკუმენტებით უნდა შემოიტანონ სასწავლებლის მმართველობაში 10 ნოემბრამდის 3—824—1

### ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა საყურადღებოთ

კვირას, ღვინობისთვის 8-ს დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია

ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა
### საერთო კრება

განსახილველია საყურადღებო საკითხები: სატაქტიკო, საორგანიზაციო და მოხსენებანი.
ყველა ამხანაგს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწროს.
გამგეობა.

### ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა

იწყება 1917 წლის 15 ოქტომბერს

პროგრამა ყრილობისა:
1) მიმდინარე მომენტი (მოხს. ბ. ი. ამირაღოვისა).
2) შექმნა ვაჭარ-მრეწველთა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციისა (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
3) მომზადება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
4) დაარსება მუდმივი ორგანოსი (მომხს. მ. ი. ბერბერიანი).
5) ამიერ-კავკასიის საეკონომიო მდგომარეობა: ვაჭრობის მდგომარეობა, მრეწველობისა, სასურსათო საქმე, ტრანსპორტი, საერთაშორისო ვაჭრობა (მოხს. ქ. ეერმიშევისა და მ. ბერბერიანისა).
6) ზოგიერთ საგაჭროების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები (მოხს. ზ. კაჭკაჭოვისა).
7) მზადება დემობილიზაციისთვის (მოხს. გ. მელიქ-კარაკოზოვისა და ა. ხოშიაგოვისა).
8) მოხსენება ადგილებიდან.
9) მიმდინარე საკითხები.

ვაჭარ-მრეწველთა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი, რომელმაც იკისრა ყრილობის მოწვევა, სთხოვს საგუბერნიო და სამაზრო ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტებს, საბირჟო კომიტეტებს, მეპატრონეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებებს, ვაჭართა კავშირებს, ხელოსანთა სამმართველოებებს და ვაჭარ-მრეწველთა საზოგადო კრებებს, ნუ დაუცდიან განსაკუთრებულ მოწვევას და გამოჰგზავნონ წარმომადგენლები. დელეგატებს შესავლელი ბილეთი მიეცემათ ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის ბინაზე (პუშკინის ქ. ადრესი დეპეშისათვის: „Торгово-промышленный“. 10—792—3

### ამიერ-კავკასიის ბანკში
(თბილისი, დოქტორ-მელიქოვის ქუჩა № 5)

### იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—12

### ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო

თბილისის № 24 საწყაოსა და საწონის შემმოწმებელი

### პალატა
(მიხაილოვის პროსპექტი № 117)

აცხადებს, რომ, ვაჭრობის მე-748 და 758 მუხლის თანახმად, ყველა საწყაოს, საწონს და საზომს უნდა დასმული ჰქონდეს შემმოწმებელი პალატის ბეჭედი.

ამ ბეჭედს ძალა აქვს 5 წლის განმავლობაში.

ამიტომ პალატა სთხოვს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, აფთიაქის, საწყობის, ფაბრიკების, ქარხნების, კანტორების, ბანკების პატრონებს და სხვა კერძო, საზოგადოებრივ და სახაზინო დაწესებულებებს, წარმოადგინონ ყველა საწონი, საწონის ქვები, სასწორები, არშინები, ღვინის, სპირტის, არყის, ლუდის და რძის საწყაოები; ბოთლები წყლისა, ლუდისა, არყისა და სხვა, ე. ი. ყველაფერი, რითაც იწყვება და იწონება.

წარმოდგენილ იქმნეს ბეჭდიანი თუ უბეჭდო 1919 წლამდე და ამ წლისაც, ბეჭდების დასასმელად. ვინც ამას არშეასრულებს ვადის გათავებამდის, რევიზიის დროს იმნაირ ბეჭდიანი, თუ უბეჭდო, გამოერთმევა ყველა საწყაო, საწონი და საზომი და პასუხისგებაში მიცემული სასჯელთა დებულების მე-1175 მუხლის ძალით, საწყაო, საზომი და საწონი სწორე უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭედი არ დაესმება და გადასახადიც არ იქნება დაბრუნებული.

ვადები თბილისისთვის 1917 წელს,
ოქტომბერში—1, 2, 3 და 4 ნაწილებში.
ნოემბერში 5, 6, 7 და 8 ნაწილებში.
დეკემბერში—9, 10, 11 და 12 ნაწილებში.
იანვარი 1917 წ. 4—813—4 პალატის გამგე ა. რეზვიაკოვი.

### ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო

აცხადებს, რომ ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრის ნებართვით 15 ოქტომბერს 1917 წელს, ქ. ქუთაისში მოწვეულია შავი ქვის მრეწველთა

მეცხრამეტე (მორიგი)
### საერთო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველად:
1. კრების თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი 4 წ., ბ) სარევიზიო კომისიის, გ) განმანაწილებელი ბიუროსი.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობებისა, შესახებ ამოღებული მადნის რაოდენობისა, საწყობებზე დამზადებულ და გატანილ მადნის რაოდენობისა, დასაწყობ და გადასაზიდავ მოწყობილობისა, რომელნიც ხელს უშლის რკინის გზის მმართველობას როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარ ლიანდაგზე.
4. რკინის გზის საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მარგანეცის და სხვა საქონლის გადაზიდვის გაუმჯობესებასთან ჭიათურის შტოს საშუალებით.
5. განმანაწილებელ ბიუროს რეორგანიზაცია.
6. სახელმწიფო ბანკიდან მარგანეცის მრეწველებისათვის კრედიტის გახსნა.
7. მარგანეცის გადასაზიდავ ტარიფის დაკლება.
8. შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.
9. სისხლის ღება შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოქმედების გასაძლიერებლად.
10. საფუთო გადასახადის მომატება მრეწველთა კრების სასარგებლოდ.
11. გერმანელების კუთვნილი სალიკვიდაციო დანიშნული წარმოების შეძენა ჭიათურაში.
12. საბჭოს კანტორის ჭიათურაში გადატანა.
13. ურთიერთობა შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა და ჭიათურის საქალაქო თვითმართველობის შორის.
14. კითხვები, რომელნიც დაკავშირებული არიან დაზღვეულ მუშათა უზრუნველყოფის საქმის წარმოებასთან.
15. თავისუფალი აფთიაქის გახსნა ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა კრების ხარჯით.
16. 1917 და 1918 წლების ხარჯთაღრიცხვა და დამტკიცება.
17. არჩევნები საბჭოს წევრთა შემადგენლობისა და სხვა თანამდებობის პირთა. (1—1)

### მალე გამოვა
რადიკალ-დემოკრატიული მიმართულების კვირეული ქართული გაზეთი
### ჩვენი რესპუბლიკა
3—808—3

## დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის

თუ გერმანეთის შემოტევამ და რევოლუციის ანარქიულმა ფერისცვალებამ კიდევ ერთხელ არ გადასდო რუსეთის დამფუძნებელი კრება, საარჩევნო დღეები უკვე კარზე გვადგა.

არჩევნებისათვის საჭირო აღწერა საქართველოში უკვე სრულდება და მალე საარჩევნო ბრძოლაც გაჩაღდება.

ქართულ პარტიების შეთანხმება და „ეროვნულ საბჭოს" დაარსება, როგორც სჩანს, ვერ ჩააყენებს ეროვნულ კალაპოტში ამ ბრძოლას...

ეროვნულ საბჭოს ჯერ კიდევ არ შეუდგენია მთელი ქართველი ერისათვის მისაღები საარჩევნო მრწამსი—პლატფორმა, და როგორც სჩანს ვერც შეადგენს.

ქართველი სოციალ-დემოკრატების ბრალით დაგვიანდა საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ ძალთა ისეთი შეთანხმება და კოალიცია, რომლის განსახორციელებლად რუსეთში არ დაიზოგეს თავი ჩხეიძემ და წერეთელმა.

ჩვენში მხოლოდ მაშინ დასთანხმდნენ ქართულ კოალიციას, როცა რუსეთის რევოლუცია ანარქიად გადიქცა და მთავრობის პარტიას გასაჭირი დაუდგა.

მაგრამ ვერც ეროვნულ საბჭოს დაარსების შემდეგ ვერ იქმნა და ვერ დაანებეს თავი იმ ჭირვეულ ტაქტიკას, რომლის წყალობით ჩვენი დოქტრინერები სხვა და სხვა სამოქალაქო და სამხედრო ყრილობებზე დაბეჭდილ ქაღალდებზე აშენებენ საქართველოსი, კავკასიისა, რუსეთისა და თითქმის მთელი ქვეყნის დემოკრატიის საქმეს.

ქართველი ერის პოლიტიკა ვეღარ ივლის „მენშევიკურ" ნიშანის ქვეშ. როგორც ძველი, ისე ახალი რუსეთი დამარცხდა. საფრანგეთისა და გერმანეთის გზის მაგიერ რუსეთის რევოლუცია სპარსეთის და ჩინეთის გზას დაადგა.

ქართველ ერს თავისი საკუთარი ფიზიკური, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები აქვს და, თუ რუსეთის დამფუძნებელი კრება შესდგა, იქაც ისე უნდა გაისმას ეს საქართველოს ისტორიული და ეროვნული ინტერესებით ნაკარნახევი ხმა, როგორც ისმის ეს ხმა დღეს ყოველგან ევროპაში და აზიაში, სადაც კი ერთი, ხელმწიფებით მოსილი ერი ხელს უშლის მეორე დამონებული ერის სახელმწიფოებრივობის აღდგენას.

გრიგოლ ვეშაპელი.

## საქართველო
### საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით

მსოფლიო ომმა წინ წამოაყენა იდეა უფლებისა და აანთო იგი მკვეთრის ნათელით მთელი კაცობრიობის შეგნებაში. ეჭვი არ არის, რა რომ დასრულდება ეს ომი, საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია იძულებული იქნება დაწვრილებით გადაათვალიეროს მთელი ქვეყნიერების რუკა, გადააკეთოს საზღვრები ბევრი სახელმწიფოებისა და უთუოდ შექმნას კიდეც ახალი პოლიტიკური ერთეულები, რომ დაცულ იქმნას, რამოდენადაც შესაძლებელი იქნება, იგივე დიადი იდეა უფლებისა და სამართლიანობისა.

ამ იდეის ნათელში საქართველოს უჭირავს ერთი უპირველესი ადგილთაგანი. ქვეყნის პირად არც კი მოიპოვება მეორე ისეთი ერი, რომელსაც რომ აგრე კაფიოდ და ნათლად გამოეთქვას თავის სურვილი, აგრე სხარტულად და სწორედ განემტკიცებინოს იგი თავის ხელშეკრულებაში და ამავე დროს აგრე სასტიკად და უწყალოდ რომ დაპლუპოდეს ყოველი თავის იმედები.

ამ პატარა ერს,—სულ შეიძლება უდრიდეს 3.000.000, რომელსაც ეხლაც უჭირავს ამიერ-კავკასიის დასავლეთის ნახევარი, ხშირად უჩენია ისტორიაში თავის სულიერი მხნეობა და შემოქმედებითი ძლიერება, ხშირად დაუჩრდილავს თავის კულტურულის სიდიადით მეტოქეობა სხვა და სხვა ერების მცირე აზიაში, ხშირად შეუტანია მჩქეფარე აზრი და ენერგია მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობაში, მაგრამ სამწუხაროდ ყველა ეს ფასიაული თავგამოდება აგრეთვე ხშირად წალეკილ ყოფილა ველურ ხალხთა ტალღებით, მოულოდნელი და შეუკავებელ თავდასხმით და ძარცვა-გლეჯით.

ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში განმტკიცდა ქრისტიანობა, დაბა-ქალაქები შემკულ იქმნა მშვენიერი და საოცარი საეკლესიო შენობებით, ხელოვნურ ლიტერატურამ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში მიაღწია თავის ფორმითა თუ შინაარსით გასაკვირველ სიმაღლემდე; დიდი თამარის დროს შეეცადნენ კიდეც შემოედოთ და დაემყარებიათ საკონსტიტუციო წესწყობილება სახელმწიფოში. მიუხედავად ამისა, საქართველო მაინც იძულებული გახდა თანდათან დამორჩილებოდა ულმობელ გარემოებათა ძალას, დასუსტდა, დაკნინდა, დაიყო რამოდენიმე სამეფოთ და სამთავროებად.

მაინც თავისი პოლიტიკური თავისუფლება მან მიიტანა მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე.

24 ივლისს 1783 წელს, ქ. გეორგიევსკში, დადებულ იქმნა რუსეთის და საქართველოს შორის ის ცნობილი ხელშეკრულება, რომელმაც დაამყარა რუსეთის პროტექტორატი საქართველოზე.

ამ ხელშეკრულობის მიჩქმალვა ეხლა შეუძლებელია. ეხლა მთელ პოლიტიკურ-ისტორიული წარსული კავკასიისა იმდენად ფარდა ახდილია და იდეა უფლებისა იმდენად მკვეთრი, რომ საქართველოს ბედი თვითონ დგება თავის სამარიდან და თვითონ შედის იმ სადღეისო მორიგ კითხვებში, რომელთა საბოლოო გადაწყვეტა კისრად აიღებს ეხლანდელ ომს და საერთაშორისო განწყობილებას.

სანამ თვით ხელშეკრულებას მოვიყვანდე, საჭიროა მკაფიოდ წარმოვიდგინოთ საქართველოს ტერიტორია და მისი ეროვნულ-პოლიტიკური სახე იმ ხელშეკრულების დადების დროს.

I

საქართველოს ტერიტორია.

საქართველოს ტერიტორიას შეადგენს მიწა-წყალი სამი უმთავრესი მდინარეებისა და ყველა მათი ტოტებისა: მტკვრისა იმ კუთხიდან, სადაც ალაზანი ერთვის მას,—რიონისა და ჭოროხისა. ეს ნაწილები მაღალ მთებით არიან გაყოფილი ერთი მეორისგან და თითქო ბუნებრივად ანაწილებენ საქართველოს სამ ნაწილად: აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი საქართველო. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველომ შეინარჩუნა წმინდად ქრისტეს სჯული, ხოლო სამხრეთ საქართველო მე-XV—XVIII-ე საუკუნეებში მოსწყდა დანარჩენ საქართველოს და თითქმის სრულებით გამაჰმადიანდა.

მთელი საქართველოს ტერიტორიის საზღვრებს შეადგენენ: დასავლეთით—შავი ზღვა გაგრიდან მოყოლებული ვიდრე ტრაპიზონამდე, ჩრდილოეთით—კავკასიის უმთავრესი ქედ-ტეხილი ზაქათლის ოლქამდე, აღმოსავლეთით—ალაზნის ბოლო ნაწილი, მდ. ზეგამის სათავედან ვიდრე მთა აჰვალამდე, აქედან პირდაპირი ხაზი მიდის ვიდრე მწვერვალი სამ-მთიანამდე (უჩ-ტაპალარი), მერე მთაა ორი ტბის —არფა-ღელე და ჩალდი-ღელეს შუა, შემდეგ ისევ მთებია, რომლებიც ჰყოფენ მტკვრისა და ჭოროხის სათავეებს მდინარე არაქსის და ევფრატის სათავეებიდან.

ეხლანდელი ადმინისტრატიული დანაწილებით ამ ტერიტორიას შეადგენენ: თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის მხარე, სოხუმის და ზაქათლის ოლქები, ყარსის მაზრა და ოლქები არტაანის და ოლთისისა; საქართველოს დანარჩენი ნაწილი—ისპირი, თორთუმი და ლაზისტანი—ეხლაც შედიან ოსმალეთის იმპერიაში.

რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს პოლიტიკურად დამოუკიდებელი იყო მხოლოდ ორი ნაწილი საქართველოსი—აღმოსავლეთის და დასავლეთისა. თუმცა ფორმალურად იმას ჰყავდა ორი მეფე და რამოდენიმე მთავრებიც, მარა არსებითად იგი წარმოადგენდა ერთს ეროვნულ ორგანიზმს.

გ. გვაზავა.

(შემდეგი იქნება.)

## ომი და ზავი

### დეპეშები

### აღმოსავლეთის ფრონტი.

დღეს რუსეთის მთავარბანაკის ცნობა არ მოგვსვლია.

**მოუქმედი ლაშქარი.** ღვინობისთვის 4. ფრონტზე დემობილების ცდას კომიტეტები და ჯარის სხვა და სხვა ნაწილები დიდის კვეხვით შეეგებნენ. უმაღლეს მთავარსარდლისაგან ბრძანება მოვიდა—პასუხის გებაში მიეცით ის, ვინც სამხედრო ბრძანებას არ ასრულებს და სხვასაც მოუწოდებს ბრძანების საწინააღმდეგოდ.

### ნორვეგიის გემების დალუპვა

**ქრისტიანია.** ღვინობ. 5. გამოაქვეყნეს ცნობა ნორვეგიის 2 გემის დალუპვის შესახებ.

### მალვის საქმე და კაბინეტი

**პარიზი.** ღვინობ. 4. დეპუტატთა პალატის უკანასკნელ სხდომაზე გამოირკვა, რომ ნამინისტრალ მალვის საქმეში მთავრობას დიდი დაბრკოლება ელობება წინ. გაზეთები სწერენ, რომ კაბინეტის მდგომარეობა შეირყა.

### მოკავშირეების სესხი

**ნიუ-იორკი.** ღვინობ. 4. შეერთებულ შტატების მთავრობამ ინგლისს 25 მილიონი დოლარი ასესხა, რუსეთს—50, საფრანგეთს—20 და ბელგიას 3 მილიონი.

### გერმანელთა მზადება საზამთროდ

**კიშინევი.** ღვინობისთვის 4. რუმინელთა გაზეთების ცნობით გერმანელები საზამთრო კამპანიისთვის ემზადებიან. ყოველდღე ვარშავაში დატვირთული მატარებლები მოდის. თივის, კატოს და ქერის სიცოტავეს არად იჩნევენ. მის მაგიერ საშემოდგომოდ გაცვივნულ ფოთლებს იყენებენ.

### ბრძოლა ბალტიის ზღვაზე

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. ჩვენი ბატარეების განადგურების შემდეგ მტერი კუივასტის რეიდში შემოიჭრა. ამავე დროს კრეისერი „ადმირალი მაკაროვი", „კანონერკები" და საესკადრო ნაღმოსნები მინზუნდში გაჩერდნენ და არხს იცავდნენ. მათ რამდენჯერმე გააჩაღეს სროლა მტრის გემებთან, რომელნიც კესასის ქვიშიან ადგილებისაკენ რამდენჯერმე გამოიჭრნენ. ამავე დროს ჩვენ გემებს მტრის მფრინავები ყუმბარებს უშენდნენ. ღვინობისთვის 3 მინზუნდზე რამდენიმე „ცეპელინი" იყო. გერმანელთა სამხედრო გემები გუშინ კვლავ უშენდნენ კუნძულ დაგოს ყუმბარებს. კუნძულთან გერმანელთა აუარებელი ნაღმის ამომკრები ნავები მოქმედებდნენ. მოონზუნდის ჩრდილოეთის გასავალში ტაგალაჰტის ყურესთან გამოჩნდა გერმანელთა კრეისერი „მოლტკე" „კაიზერის" ტიპის 2 ჯავშნოსანი და 3 წყალქვეშა, კესარის ქვიშიან ადგილების დასავლეთით კი—20 ნაღმოსანი და 20 ნაღმის ამომკრები ნავი და მრავალი სხვა ზომისა და დანიშნულების ნავები; რიგის ყურესთან გამოჩნდა 2 თუ მეტი ჯავშნიანი „კენიგის" ტიპის გემი, 6 სუბუქი კრეისერი, ბევრი ნაღმოსანი, წვრილი გემები და 2 წყალქვეშა.

ფინის ყურეში დაგზავნის „კაიზერის" ტიპის 3 ჯავშნოსანი იყო. ამნაირად ბალტიის ზღვაზე გერმანელთა 3—4 ესკადრა მოქმედებს და 10—12 ჯავშნოსნისაგან შემდგარი მე-5 ესკადრაც ბალტიის ზღვაზეა ე. ი. მტრის ფლოტის ორი მესამედი ჩვენს წინააღმდეგ წამოსულა. ღვინობისთვის 4 მოონს გერმანელები ზღვიდან და ჰაერიდან გაშმაგებით უშენდნენ ყუმბარებს.

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. საერთოდ მდგომარეობა ბალტიის ზღვაზე არ შეცვლილა. მანზუნდის სამხრეთ ნაწილში ჩვენს ნაღმოსნებს სროლა ჰქონდათ მტერთან. ჩვენს ნაღმებზე, მტრის 2 ნაღმოსანი აფეთქდა. გუშინდელ ბრძოლაში ჩვენ გემებს მტრის დრედნოუტებისთვის რამდენჯერმე მოუხვედრებიათ ზარბაზნის ტყვიები და 2 ნაღმის ამომკრები დაუღუპავთ. მტრის ერთი ნაღმოსანი აფეთქდა. მეზღვაურები ყველგან სამაგალითოდ იქცეოდნენ და მათმა მამაცობამ მოლოდინს გადააჭარბა. ბრძოლაში დაახლოვებით მონაწილეობა მიუღია: „კაიზერის" და „კენიგის" ახალი ტიპის 10-მდე დრედნოუტს, 10-მდე კრეისერს, არა ნაკლებ 50 ნაღმოსანისა, რომელთაგან 20 „ნოვიკ"-ის ახალი ტიპისაა, 8—10 წყალქვეშა, აუარებელი ნაღმის ამომკრები ხომალდები, სხვა დამხმარე გემები, ჰიდროპლანები და სხვა საშუალებანი. უკანასკნელ ღამეებში რიგისა და ფინურ ყურეებზე „ცეპელინები" გამოჩნდნენ. ერთმა მათგანმა პერნოვში ყუმბარები ჩამოყარა. მოკლულია 10 კაცი, ასევე ბლომად გასწყვიტა საქონელი.

**პეტროგრადი.** ღვინობ. 6. მოონზუნდის სამხრეთის ნაწილის მიტოვების შემდეგ კუნძულ მოონის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა, რის გამოც კუნძული დავცალეთ. ამ დროს მტრის გემებმა სროლა გააძლიერეს. მათ ჩვენი ნაღმოსნები და დამხმარე გემები უმკლავდებოდნენ. მოონზუნდიდან ფინურ ყურეს გასავალში გერმანელებს ნაღმები ჩაეწყოთ, რათა ჩვენი გემები მოონზუნდში მოემწყვდიათ და გაენადგურებინათ. ფინურ ყურისა და მონზუნდის შესავალში მტრის წყალქვეშები აღმოჩნდნენ. მთელი დღე უამინდობა ხელს გვიშლიდა თვალყური გვედევნა მტრის ძალების მოძრაობისთვის და ჰაერით ზვერვა მოგვეხდინა. კუნძულ მოონისა და მოანზუნდის სამხრეთის ნაწილის მიტოვების შემდეგ მთელი ბალტიის არხიპელაგის ბედი ერთობ მძიმე პირობებში ჩავარდა. შევუდექით (?) ევაკუციას, რომლის დროსაც მტრის გემები ორივე მხრიდან გვესროდნენ.

### დასავლეთის ფრონტი.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

**პარიზი.** ღვინ. 5. მდ. ენის ჩრდილოეთით ჩვენებმა ვოკლერის ზეგანისკენ მომავალი მტრის ჯარი მოიგერიეს. მეზონ დე-შამპანის რაიონში და მაასის მარჯვენა მხარეზე ლეზოშ და ბეზანკოს რაიონში საარტილერიო მოქმედებაა.

ინგლისის ბანაკის ცნობა

**ლონდონი.** ღვინ. 6. გაბრიელის რაიონში ლონდონის ჯარმა წუხელ ხელჩართულ ომში დიდი ზარალი მიაყენა მტერს. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. მტრის არტილერია ზონებეკესა და ბაროგეენდის რაიონში მოქმედებდა.

**ლონდონი.** ღვინ. 4. ოფიციალი. აილიასთან ჩვენმა პატრულებმა რამდენიმე ტყვე იგდეს ხელთ. ორსავ მხრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა. გუშინ საღამოთი რეის მიდამოებში, სამხრეთ-მიდლენის (?) ჯარის მცირე რაზმი მტრის სანგრებში შეიჭრა და საგრძნობი ზარალი მიაყენა მტერს. წუხელ ლანსის ჩრდილოეთით მტერს თავს დაესხით და რამდენიმე ტყვე ვიგდეთ ხელში. დღეს ოტამვილის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ქვეითებმა მტრის ძლიერი რაზმი მოიგერიეს.

**მფრინავთა მოქმედება.** ღვინობისთვის 2-ს ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბატარეებს აუტეხეს სროლა. მთელ დღის განმავლობაში ჩვენი მფრინავები ყუმბარებს უშენდნენ მტრის საწყობებს და ფრონტის მახლობელ რაიონებს. ჩამოვაგდეთ გერმანელთა 3 ჰაეროპლანი, 2-ც დავაზიანეთ. ჩვენი 3 ჰაეროპლანი ბაზას არ დაუბრუნდა.

**ლონდონი.** ღვინ. 5. ღვინობისთვის 5-ს ჩვენი მფრინავი საარმიუკენის დასავლეთით მდებარე ქარხნებს უშენდნენ ყუმბარებს. ჩამოაგდეს მტრის 2 ჰაეროპლანი, ერთიც დააზიანეს. ჩვენც ერთი ჰაეროპლანი გვაკლია. გერმანელთა არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

### ინგლისის გენერალი რუსეთზე

**მთავარი ბანაკი.** ღვინ. 5. ინგლისის სამხედრო დელეგაციის უფროსმა გენერალმა ბარტერმა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთა ბაასის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისელები არაჩვეულებრივის კმაყოფილებითა და დიდის თანაგრძნობით შეხვდნენ რუსეთის რევოლუციას, ინგლისეთ სჯერათ, რომ რუსებს მამულიშვილური გრძნობა ყველა დაბრკოლებებს დაძლევინებს. რუსეთი სათანადოთ ვერ აფასებს იმას, რასაც ინგლისი აკეთებს ომის მიზნების მისაღწევადაო. ბარტერის სიტყვით ინგლისი რომ ეხლა ბრძოლებს აწარმოებს არაფერი იმის მაგვარი მსოფლიოს არ ახსოვს, დიდია მსხვერპლი, მაგრამ სამაგიეროდ გერმანელებს უფრო მეტი ზარალი მოსდით ვიდრე ინგლისელებს; მარტიდან ინგლისელებს არც ერთი ზარბაზანი არ დაჰკლებიათ; 6 თვეში 250000 გერმანელნი ტყვე წაუყვანიათ და ხელთ უგდიათ 40 ზარბაზანი, რომელთა დიდი ნაწილი სხვილი ყალიბებისაა. ბოლოს გენერალმა აღნიშნა იმ ხმების უსაფუძვლობა, ვითომც ინგლისი რუსეთის დემოკრატიის მტერი იყოს. ინგლისმა პირველმა აღიარა და განამტკიცა მოქალაქის პიროვნების თავისუფლება და იცავს კიდეც თავისუფლებას.

### ზავის გარშემო
### დეპუტატთა საბჭოს სხდომა.

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 5. დასრულდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალ კომიტეტის სამი დღის სხდომა. ითათბირეს პარიზის მომავალ კონფერენციის შესახებ. სხდომას დაესწრნენ სამხედრო და საზღვაო მინისტრი, ფრონტების კომისრები და სალაშქრო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პარიზის კონფერენციაზე ცენტრალი კომიტეტი ყოფილ შრომის მინისტრ სკობელევს ჰგზავნის.

### გერმანელთა სოციალ დემოკრატების ყრილობა.

**კოპენჰაგენი.** გერმანელ სოც.-დემოკრატების ყრილობაზე უმრავლესობის მემარცხენე ფრთის თავმჯდომარე ჰოხმა რეზოლუციის პროექტი შემოიტანა, თუ მთავრობა სოც.-დემოკრატების მიერ წამოყენებულ საზავო პირობებს არ მიიღებს, მაშინ სამხედრო კრედიტებს ხმას აღარ მივცემთო. პროექტი 284 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 24 წარჰყვეს.

### პარიზის კონფერენცია.

**ნიუ-იორკი.** ღვინობისთვის 5. ოფიციალად იტყობინებიან, რომ შეერთებულ შტატების მთავრობა გაგზავნის თავის წარმომადგენლებს პარიზის კონფერენციაზე.

## რუსეთის რესპუბლიკა

### დეპეშები

### კორნილოვის ავადმყოფობა

**მთავარი ბანაკი.** ღვინ. 5. ბიხოვში კორნილოვს 50 კაცის მაგიერად მთელი როტა სდარაჯობს. კორნილოვს წინანდებურად პრილიპის შედეგად დარჩომილი ქარები აწუხებს.

### სახალხო სამკითხველოები

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. სახალხო განათლების მინისტრს განუზრახავს 1918 წლისათვის სახალხო სამკითხველოების გასაძლიერებლად 36 მილ. მანეთის გადადება. აზრად აქვთ თითო სოფლის საზოგადოებაში თითო სამკითხველო დაარსონ. პირველად დახმარებას ამოუჩენენ 30 ათას სამკითხველოს.

### კერენსკი დეპუტატთა საბჭოში

**პეტროგრადი.** ღვინობ. 4. დილის 11 საათზე ბანაკიდან დაბრუნდა მინისტრ-თავმჯდომარე უმაღლესი მთავარსარდალი კერენსკი. დღეს მინისტრ-თავმჯდომარე დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტის ფარულ სხდომას დაესწრო.

### მიწადმოქმედების მინისტრი

**პეტროგრადი.** ღვინობ. 4. საადგილ-მამულო მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ს. მასლოვი დაინიშნა მიწათმოქმედების მინისტრად.

### ყაზახთა სამხედრო წრე

**ოვრენბურგი.** ღვინ. 4. ახალ სამხედრო ატამანს დუტოვს დიდის ამბით ჩააბარეს ბულავა. რესპუბლიკის საბჭოში ყაზახთა სამხედრო წრემ აირჩია ყაზახთა ოფიცრები ანისიმოვი, ტოლსტოპიატოვი და სმინიკი. სამხედრო წრემ ჯარიდან ესაულ ნაგაევი გამორიცხა. პირველ სათათბიროს წევრმა სიდელნიკოვმა ყაზახობის წოდებაზე უარი განაცხადა.

### მონგოლების მთავრობისათვის

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 4. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის თხოვნის თანახმად, მონგოლების მთავრობას 1 მილიონი მანეთი მიეცეს.

### მანეთიანის ღირებულების დაცემა

**ჰელსინგფორსი.** ღვინობ. 5. მანეთიანის ღირებულება დაეცა. 100 მანეთი 120 მარკად ფასობს.

## დამფუძნებელ კრების სამზადისი

### რუსეთის კოოპერატორთა ყრილობა

**მოსკოვი.** ღვინ. 5. სრულიად რუსეთის კოოპერატივების ყრილობამ მსჯელობა იქონია დამფუძნებელ კრების არჩევნებზე დამოუკიდებლად გამოსვლის შესახებ. ყრილობამ დაადგინა ფართედ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და ეცადნენ, რომ დამფუძნებელ კრებაზე რუსეთის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრების პირობების მცოდნე პირები მოხვდნენ.

### არჩევნების დაწყება

**პეტროგრადი.** ღვინობ. 5. მიღებულ ცნობების მიხედვით 60-ზე მეტ ოლქში დამფუძნებელ კრების არჩევნები გიორგობისთვის 2 დაიწყობა. არჩევნები დაგვიანდება განაპირა ოლქებში, რაც წინადვე იყო მოსალოდნელი.

## ანარქია

### მღელვარება კიშინევში.

**ოდესა.** ღვინობ. 5. კიშინევში მღელვარება დაიწყო. ბესარაბიის კომისრის განკარგულებით ცხენოსანთა ერთი პოლკი უკვე გაგზავნა.

### მაღაზიების დაგლეჯვა.

**ოდესა.** ღვინობისთვის 5. როგორც სამხედრო საოლქო კომისარი იუწყება, ვოზნესენსკში უწესოებაა. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ბეჭდავს კერძო მაღაზიებს და პირველ საჭიროებით ნივთების დუქნებს. საბჭომ სასურსათო კომიტეტი გადააყენა. საქმის გამოსარკვევად კომისია გაიგზავნა.

### ტუსაღების გამოშვება

**სარატოვი.** ღვინ. 5. პეტროვსკში ციხესა და საჭერალო სახლებიდან პატიმარნი გაანთავისუფლეს.

### სამხედრო წესები ომსკში

**ომსკი.** ღვინ. 5. დარბევის თავიდან ასაცილებლად ქ. ომსკში და მის სადგურზე სამხედრო წესები გამოცხადდა. ქუჩებში თავის მოყრა და კრებები აკრძალულია. თეატრები და გასართობები დაიხურა. ღამის 10 საათიდან დილის 5-მდე ქუჩაში გამოსვლა აკრძალულია.

## ეროვნული საკითხი

### უკრაინა და რუსეთი
### უკრაინის კომისართა ყრილობა

**კიევი.** ღვინობისთვის 5. უკრაინის კომისართა ყრილობა წინააღმდეგია უკრაინის თავისუფალ ყაზახთა ჯარის შედგენისა და საჭიროდ სცნობს იარადი ჩამოერთვას იმათაც, ვინც თავის ნებით შეადგინეს თავისუფალ ყაზახთა რაზმები, და უკრაინელთა სამხედრო ნაწილებს გადასცეს.

### კადეტების გასვლა რადიდან

**კიევი.** ღვინ. 5. მცირე რადამ გენერალურ სეკრეტარიატის დეკლარაცია მიიღო, ამის გამო კადეტები ცენტრალ რადიდან გავიდნენ, რადგანაც ისინი წინააღმდეგნი იყვნენ დეკლარაციისა.

### სამხრეთ გუბერნიების კომისართა ყრილობა

**კიევი.** ღვინობისთვის 3. მთავარ სეკრეტარის ვინნიჩენკოს თავმჯდომარეობით დაიწყო კიევის, ვოლინის, პოდოლსკის, ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიის სამაზრო და საგუბერნიო კომისრების ყრილობა. კიევის გუბერნიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ მაზრებში თავი იჩინა ადგილ-მამულების ტაციობამ და მცხოვრებთა და ტყის მესაკუთრეთა შორის კონფლიქტებმა. ორატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ზოგიერთა მაზრებში მეტად გახშირდა ეკონომიურ ნიადაგზე სხვა და სხვა გაუგებრობა. შაქრის პლანტაციებში ხშირია ბოროტ-მოქმედება. ხშირია აგრეთვე არყის ჩუმად ხდა. ხდება აგრეთვე ჩუმი მკვლელობები. მილიცია სუსტია.

## ეკონომიური ცხოვრება

### გაფიცვა.

**ყაზანი.** ღვინობისთვის 5. ლითონის ქარხნის მუშების კავშირმა მოითხოვა, რომ მუშების დათხოვნა და მიღება მისი თანხმობით სწარმოებდეს. მექარხნეებმა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს. დღეს დილით გაფიცვა დაიწყო ტრამვაიზე, სტამბებში, ელექტრონის სადგურებზე. კავშირი 5 დღის საყოველთაო გაფიცვას იმუქრება.

## უკანასკნელი დეპეშები

რუსებმა კუნძული დაგო მიატოვეს. ქ. გაპსალს სცლიან.

—

მთავრობაში მოსალოდნელია ცვლილებები. უკმაყოფილებას იწვევს ნიკიტინის პოლიტიკა, რომელსაც კერენსკიმ მიუთითა მილიციის უძლურებაზე, თვითგასამართლებასა და რბევასთან ბრძოლაში.

—

პეტროგრადის დაცლა ღვინობისთვის 12 დაიწყება. ბანკები ზოგი მოსკოვში გადმოაქვთ, ზოგი ნიჟნი-ნოვგოროდში.

—

დამფუძნებელი კრება მოსკოვში იქნება მოწვეული.

—

დემოკრატიის წარმომადგენელნი მთავრობის მოსკოვში გადასვლის წინააღმდეგნი არიან. ბოლშევიკები იმუქრებიან, პეტროგრადში კომუნას დავაარსებთო.

—

რესპუბლიკის საბჭოში კორნილოვის საქმეს განიხილავენ.

—

რესპუბლიკის საბჭოში კადეტების ხელმძღვანელობით ზომიერთა ბლოკი შესდგა.

ლონდონიდან იუწყებიან, გერმანელთა სოციალ-დემოკრატების ანგარიშით მათ რუს სოც.-დემოკრატებისთვის სუბსიდიის სახით შეიდგა ათასი მარკა გამოუგზავნიათ.

—

მთავრობამ 15 დღიანი უკრაინის ზავის ნება დართო.

მოონზუნდის დაკარგვით რიგას ყურესთან ერთად მთელ ბალტიკას ვკარგავთ.

—

ფილანდიიდან ნეკრასოვი დაბრუნდა ჰელსინგფორსის დაცლის საკითხის გადასაწყვეტად.

—

სუმის მაზრაში გლეხები ქაღალდის წვრილ ფულს არ იღებენ, რადგანაც მასზე მეფის სურათი არ არის.

—

დიდმა თავადმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თავისი სასახლე პეტროგრადში 2 მილიონად მიჰყიდა გზათა მიმოსვლის სამინისტროს.

—

რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარედ სოც.-რევოლუციონერი იქნება. ამხანაგებად სხვა თვალსაჩინო პარტიის წევრები.

—

ჩრდილოეთის ფრონტის შტაბი მოსკოვში გადმოაქვთ.

—

დემოკრატიის წარმომადგენლები მთავრობის მოსკოვში გადასვლის შესახებ ამბობენ: „ეს რევოლუციის გულში დანის დაკვრაა“. ამაზე კიშკინს უპასუხნია: „წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციის მკერდს გერმანული ხიშტი დაემუქრებაო“.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **თბილისში მომსვლელთა გასაჭირი.** თბილისის სასტუმროები და მორთული ნომრები გაჭედილია მდგმურებით. ახლად მოსულთათვის არსად ოთახი არ იშოვება. მოსულები ღამეს ათევენ დერეფანში, ჰერებზე და აივანზე.

◆ **ქართველ მწერალთა კონფერენცია.** დღეს, ღვინობისთვის 7-ს, დილის 11 საათზე, ქართული კლუბის დარბაზში დაიწყება ქართველ მწერალთა კონფერენცია.

◆ **ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე** თბილისის გუბ. თავ. აზნ. საზოგ. კრება დანიშნულია დღეს, ღვინობისთვის 7-ს დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში. კრებამ უნდა აირჩიოს გამგე კომიტეტის წევრები.

◆ **გაფიცვის დასრულება.** თბილისის სახვრეტ ქარხნების მუშათა მოთხოვნილება სავსებით დააკმაყოფილეს და გაფიცვა დასრულდა; ყველა ქარხნებში მუშაობა განახლდა.

◆ **თბილელი მიტროპოლიტი** ლეონიდე ღვინობისთვის 5-ს, საღამოს, ფოთში გაემგზავრა სამწყსოსთან გამოსამშვიდობებლად.

◆ **საკათალიკოსო სასამართლოს** მდივნად მიწვეულია ნაფიცი ვექილი გ. თ. ჟორდანია.

◆ **მასწავლებლების ჯამაგირის გადიდება.** სწავლა-განათლების სამინისტრომ საჭიროდ სცნო სამინისტრო სკოლების მასწავლებელთ ჯამაგირი 100 მანეთამდე გაუდიდდეთ.

◆ **კავკასიის მართლმადიდებელი ეკლესია.** სარწმუნოებათა მინისტრმა დროებით მთავრობას განსახილველად წარუდგინა პროექტი „კავკასიის მართლმადიდებელ ეკლესიისა“, რომელსაც სათავეში ეყოლება თბილისის მიტროპოლიტი—კავკასიის ეგზარხოსი.

◆ **საქ. ერ.-დემოკრატ მოწაფეთა კრება.** დღეს დილის 11 საათზე დანიშნულია ერ.-დემოკრატ მოწაფეთა კრება. პარტიის წევრთ და თანამოაზრეთ სთხოვენ აუცილებლივ მოვიდნენ დანიშნულ დროზე ქართული გიმნაზიის შენობაში.

◆ **თბილისის სამაზრო სათემ-ში** საბჭომ მოქმედება დაიწყო. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ექ. ჯავახიშვილი, მდივნად ვ. საათაშვილი, წევრებად—ა. კოვლელიშვილი და ბებია ქალი შოჭკაშვილი.

◆ **შეშის ნიხრი.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ საქენ შეშაზე თბილისის საწყობებში 260 მანეთი დააწესა ფასად.

◆ **კალოშების ნიხრი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა შესაძლებლად სცნო შემდეგი ფასები დაწესდეს კალოშებზე: მამაკაცისა 8 მ. 25 კაპ.—10 მან., მოზრდათა 7 მ. 55 კ.—8 მ. 15 კ., დედაკაცისა თხელი 8 მ. 10 კ., ქალისა 6 მ., ბავშვისა 5 მ. 20 კ.

◆ **ჟურნალისტების კავშირი.** საბოლოოდ მოეწყო თბილისის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთა პროფესიონალი კავშირი. ღვინობისთვის 5-ს კავშირმა აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. კავშირი წევრად ჩაეწერება კავშირთა კავშირში.

◆ **კათალიკოსის წირვა.** დღეს, ღვინობისთვის 7-ს, სიონის ტაძარში პირველი წირვა სრულიად საქართველოს კათალიკოსის კირიონ II-სა.

◆ **ხილის სახმობი პუნქტი.** ქართლში ორ ადგილას მოაწყვეს ჩირის სახმობი პუნქტი. ერთი მოაწყო მეხილეთა საზოგადოება „ქართლმა“, ხოლო მეორე მიწ-დმოქმედების უწყებამ.

◆ **ქართული უნივერსიტეტი.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ კვირას, 8 ამ ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს სადგომში დანიშნულია გაგრძელება ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების პირველის კრებისა. კრების საგანია: გამგეობის, საკონტროლო საბჭოს და საფინანსო კომისიის არჩევანი. მოხსენება სამოქმედო გეგმის შესახებ. წევრად ჩაწერა —იქვე ილ. ზურაბიშვილთან.

◆ **აგრარული უწესოებანი ლიფლანდში.** ამას წინად ლიფლანდში ხმა დაუგდიათ, ახალი კანონი გამოვიდა, რომლის ძალითაც მთელი მიწები ხალხს უნდა გაუყონ, მაგრამ ამ კანონს მალავენო. ერთი ცნობილ შეიხ ხალხისათვის აუხსნია, შარიატში ნათქვამია, რომ მთელი მიწები მშრომელ ხალხს უნდა ეკუთვნოდესო და ამიტომ მსხვილ მესაკუთრეთა მამულები უნდა დაიყოთო. ამ ნიადაგზე მაშინვე დაიწყო უწესოება. მაშინვე ეცნენ ტყეებს და 1000 ურემამდე შეშა გამოზიდეს. გაჩეხილი ტყეების პატრონის გვარეულობა აპირებს ტყე იარაღით დაიცვას. მოსალოდნელია დიდი სისხლის ღვრა.

## თელავი.

◆ **მილიციის და ყაჩაღების შეტაკება.** ამ დღეებში, ღამით შეტაკება მოუხდათ რამდენიმე ყაჩაღთან მილიციონერებს. სროლამ ერთ საათამდე გასტანა, მოკლეს ერთი ყაჩაღი, ხოლო ოთხი შეიპყრეს. როგორც ამბობენ, ამას წინად აქაურ ციხიდან რომ ოთხი ტუსაღი გაიქცა, ეს მოკლული ერთი იმათგანი არისო.

◆ **დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიამ**, დაბეჭდილი ფურცლები გამოუშვა, რითაც მოუწოდებს და ურჩევს მცხოვრებთ, რომ ხმა არავინ დაჰკარგოს და ყველა ჩაეწეროს 3 ღვინობისთვიდგან 13-დის.

◆ **ყაჩაღობა.** თელავის მაზრაში, მიუხედავად აღმასრულებელი კომიტეტების დიდი მეცადინეობისა, ქურდობა-ყაჩაღობა მაინც დღითი-დღე მატულობს, დღე ისე არ გავა რომ რამდენიმე ადგილას არ მოხდეს ძარცვა-გლეჯა. თავი და თავი მიზეზი ამ ყაჩაღობისა ის არის, რომ სოფლების აღმასრულებელ კომიტეტებში ბევრნი მოჰყვნენ არა საიმედო პირნი, რომლებიც სიტყვით წინააღმდეგნი არიან ყაჩაღობისა, საქმით კი მათი ამხანაგები არიან.

## ახალ-სენაკი.

ახალსენაკის სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა გასაყიდათ: 1) შაბიამანი, 2) ფხვნილი გოგირდი, 3) სხვა და სხვა ტიპის სამეურნეო იარაღები, 4) რაფია (ვენახის მისაკრავი), 5) მოსტნეულობის ყოველგვარი თესლეულობა (შემოწმებულია), 6) მიწის სასუქი ნივთიერებანი, სელიტრა, გვარჯილა, თაგვის წამალი და სხვა, 7) ნერგები და თესლეულობა მანდარინისა, ლიმონისა, დაფნისა, ბამბუკისა, თუთუნის და სხვა. საზოგადოების საწყობში იშოვება აგრეთვე სიმინდის ფქვილიც.

## ახალ-ციხე.

◆ 1 ოქტომბერს ადგილობრივ ქალაქის არჩევნები მოხდა. ამომრჩეველთა შორის ხუთი პარტია მოქმედებდა. პირველი № ნომერი სოც.-დემოკრატები იყვნენ; მეორე სომეხთა რევოლუციონერები; მესამე ს.-რევოლუციონერები; 4—დაშნაკცაკანები, ხოლო მეხუთე რაზმი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ეროვ.-დემოკრატები, ს.-ფედერალისტები და ადგილობრივი ებრაელები. პირველმა ნომერმა გაიყვანა 5, მეორემ 1, მესამემ—12; მეოთხემ—15, ხოლო მეხუთემ 3. არჩევნები უწესოდ ხდებოდა. პარტიები ერთმანეთს არ აცლიდნენ. „გამარჯვებულთა“ გამარჯვება იმით აიხსნება, რომ სხვებს ხელიდან კონვერტებს სტაცებდნენ და ნომრებს უცვლიდნენ.

## ზრემის ხევი. (დუშ. მაზრა).

განხსნა „აკაკის სახელობის“ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო. სამკითხველოს გამოწერილი აქვს „საქართველო“, „სახალხო საქმე“, „ალიონი“, „ჯარისკაცი“ და სხვა.

◆ **პურის მოსავალი** წელს კარგი იყო, მაგრამ საერთო სიძვირემ აქაც იქონია გავლენა. კოდი პური (სამი ფუთი) სამ თუმნად ფასობს.

◆ **სასურსათო კომიტეტი** შეუდგა ხალხში პურის შეგროვებას. ხალხი უკმაყოფილოდ ეგებება.

◆ **სოფლიდან** დიდძალ ხილს ეზიდებიან თბილისისკენ. ფუთი 2—3 მ. ფასობს.

# საქართველოს ეკლესიის მარეგეგო

სარწმუნოების მინისტრისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ კირიონმა შემდეგი: გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკლესიის დელეგატები 20 ღვინობისთვეს უნდა ჩამოვიდნენ პეტროგრადში გამოჯვნელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კომისია თვით შეუდგება საქმის განხილვასაო“. საკათალიკოზო საბჭომ შემდეგი პასუხი გაუგზავნა კათალიკოზის სახელით: „როგორც წინადაც გაცნობეთ, საქართველოს ეკლესიის დელეგატები გამოჯვნელ კომისიის მუშაობაში პეტროგრადში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, რადგანაც ყველა დოკუმენტი და საარქივო მასალები თბილისში იმყოფება, ამასთანავე გაცნობებთ, ცალმხრივად შედგენილ კომისიის დადგენილებანი სავალდებულოდ ვერ ჩაითვლება ჩვენი ეკლესიისათვის“.

—

საკათალიკოზო საბჭოს დადგენილებებს ყოფილი სასინოდო კონტორის ზოგიერთი მოხელენი წინააღმდეგობას უწევენ. კონტორის მდივანი ილექსი დავითაშვილი ამ დღეებში გაიპარა პეტროგრადში და თან წაიღო საიდუმლო დოკუმენტები. ხოლო მოხელენი: ს. წერეთელი და მიხ. მონასელიძე ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან საბჭოს მიერ დანიშნულ კომისრებს. მათი საქციელი დანარჩენ მოხელეთა შორის იწვევს აღშფოთებას. პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელ ბ ნ წერეთლის კადნიერება იქამდის მიდის, რომ მან უარი შეუთვალა კომისრებს მათთვის სამუშაო ოთახის მოწყობისათვის კონტორის შენობაში. კომისრები იძულებული იყვნენ დაეჭირათ ეგრედ წოდებული „პრისუტსტვიის“ ოთახი, რომელიც ამიერიდან ყოფილი კონტორის რუს წევრთათვის დაიკეტა.

—

ყ. სასინოდო კონტორაში პოპოვის ბინა, სადაც ამ ჟამად სცხოვრობს ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლ, გარდაიქცა კონტრ-რევოლუციონერთა ბუდედ. სამწუხაროა, რომ საქართველოს ეკლესია ახლაც ვერ დაეპატრონა საკუთარ შენობას და იმ დროს, როდესაც კათალიკოზის მოსაყდრე მიტროპოლიტი ლეონიდი მოთავსებულია ერთ ოთახში, ისიც დროებით, ჩვენ ეკლესიის შენობაში სცხოვრობს მისი დაუძინებელი მტერი.

# საქალაქო დებულების ცვლილებანი

დროებითმა მთავრობამ დაადგინა საქალაქო დებულებაში შეიტანა შემდეგი ცვლილებანი, რომლებიც ენკენისთვის 19-ის სხდომაზე იქნა დაკანონებული: I. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ნება არა აქვთ ადგილობრივ საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში რაიმე თანამდებობაზე იყვნენ. II. თუ ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული პირი სისხლის სამართალში იქნა მიცემული, ქალაქის საბჭოს უფლება ეძლევა ეს პირი დროებით თანამდებობიდან გადააყენოს. III. გუბერნიის კომისარს პირადათ, ან მისი თანაშემწის ან რომელიმე სამაზრო კომისარის საშუალებით, ნება აქვს დაწესებულებებს რევიზია გაუკეთოს და მათი საგამგეებლო და სამეურნეო სხვა და სხვა ფარგლებში მოქმედება განიხილოს და მოსთხოვოს მათ ცნობები და განმარტებები; თუ რაიმე უკანონობა იქნება შენიშნული და ქალაქის საბჭო კანონიერების აღსადგენად ზომებს არ მიიღებს, გუბერნიის კომისარმა ამის თაობაზე პროტესტი უნდა განაცხადოს საოლქო სასამართლოში. IV. ქალაქის გამგეობას არ შეუძლია თანამდებობაზე მოიწვიოს იმავე ქალაქის საბჭოს ხმოსანი.

# მთიელთა ყრილობა

ენკენისთვის 21 კავკაზში დაიწყო გაერთიანებულ თერგისა და დაღესტანის ოლქების მთიელთა კავშირის მე-2 ყრილობა.

ყრილობაზე გადამწყვეტის ხმით მოწვეული იყო 15000 კაცზე ერთი წარმომადგენელი, სულ 65 დელეგატი. ამას გარდა ყრილობაზე მოწვეულნი იყვნენ რჩევის ხმის უფლებით სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულების 200-დე წარმომადგენელი.

ყრილობის გახსნის დღესვე დაიწყეს მოქმედება აგრარულმა, სატყეო, დამფუძნებელ კრებისა, სასურსათო, პოლიტიკურმა და სასკოლო სექციებმა. მეორე დღეს კი სასულიერო, სახალხო მილიციისა და საფინანსო სექციების მუშაობა გაიხსნა.

ყრილობის პროგრამა ასეთია: 1) მისალმებანი და საორგანიზაციო კითხვები; 2) კავშირში აბხაზების შესვლა; 3) ცენტრალ კომიტეტის მოქმედების ანგარიში; 4) მოხსენება ფედერაციაზე; 5) მოხსენება მომენტის შესახებ; 6) კონსტიტუციის გადასინჯვა; 7) საფინანსო საკითხები; 8) დამფუძნებელ კრების არჩევნები; 9) სახალხო მილიცია; 10) ტყეების საქმე; 11) საადგილ-მამულო კომიტეტები და გლეხების დეპუტატთა საბჭო; 12) აგრარული საკითხი; 13) დანარჩენი საკითხები.

ყრილობის მეორე დღეს საყურადღებო იყო სიტყვა კავკასიის ადგილობრივ კორპუსის კომიტეტის თავმჯდომარის, ჩაჩანთა პოლკის უფროსის სულთან ყირიმ გირეისა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო, თუ რა პირობებში მიიღო მთიელთა კორპუსმა მონაწილეობა კორნილოვის ამბოხებაში.

ყირიმ გირეის შემდეგ ილაპარაკა კორპუსის უფროსმა გენ. პოლოვცევმა.

# მთლიანი საქართველო

სიტყვა „მთლიანი საქართველო“ ჩვენს ყურთა სმენას ეუცხოვება, ეს ალბად იმის მიზეზია, რომ მთლიანი საქართველოს იდეა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს ერთს დროშის ქვეშ არ ჰკრებდა. უკედ რომ ვსთქვათ, უხსოვარ დროიდან დღემდე სრულიად საქართველოს კუთხეები: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, ოდიში საინგილო, მესხეთი, ტაო-კლარჯეთი და სხვა ნაწილები ერთს პოლიტიკურს ორიენტაციას არ იზიარებდნენ და თუ სულმნათ თამარ დიდს ეპოქას არ მივიღებთ მხედველობაში, მათ ერთს ეროვნულ დროშის ქვეშ არ უვლიათ.

ბ-ნ ნოე ჟორდანიასაც ეს ექნებოდა მხედველობაში, როცა დავით—თამარის ეპოქის გარჩევის შესახებ შემდეგს ამბობდა:

— დავით თამარის დროს საქართველო ერთი პოლიტიკური ცხოვრებით სცხებოდა, საერთო ისტორიულ უღელს სწევდა, მტერს ერთად მტრობას უწევდა და მოყვარეს მოყვრობას. მაგრამ ყოველივე ეს წარმავალი იყო მხოლოდ იმისთანა ჭკვიან და გამჭრიახად მეფედ, როგორც დავითი და თამარი იყვნენ, შეეძლოდ დროებით მაინც შეერთებინათ მთელი საქართველოს“*). ალბად ჩვენს კოსმოპოლიტისტებსაც ესევე გ რემოება აძლევდათ საბაბს რომ ზარის რეკვით ქვეყნიერებას სიხარულით აუწყებდნენ:—ნაციონალიზმს ქართველ ხალხში ნიადაგი არ ჰქონებია და არც ექნებაო.

საქართველოს ეროვნულად აყვავება, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების გაერთიანება და საქართველოს კულტურას გახალხოსება დამოკიდებული იყო გარეშე გავლენიდან და ეკონომიურ განვითარებიდან.

ალექსანდრე მაკედონელის და ისტორიკოს სტრაბონის დროს, როდესაც მსოფლიო გზით ჩვენი ფაზია ქვეყანა საერთო ვაჭრობის ფერხულში იყო ჩაბმული, როდესაც ყველა კუთხის ვაჭრები ერთი მეორეს საქართველოს მიწა-წყალზე ჰხვდებოდნენ, როდესაც ქართველის ტემპერამენტიც ეგუებოდა ვაჭრობას, როდესაც საქართველოში არსებული მდუმარე კერპთაყვანისცემა წითელი ალისფერ ცეცხლის კულტმა შეცვალა, აი ამ დროს საქართველო ეკონომიურად წელში გამაგრებული იყო.

ეკონომიურ განვითარება თავის თავად ეროვნულ მთლიანობას ჰქმნიდა. უეჭველია, ეკონომიურმა განვითარებამ და ეროვნულმა თვით-შეგნების ძალამ საშუალება მისცა მეფე დავით-კურაპალატს, რომ საქართველოს დაქსაქსული ნაწილები გაერთიანებინა ერთს პოლიტიკურ ეროვნულ სამეფოში და თვით მეფედ მეფე გამხდარიყო. მაგრამ მსოფლიო გზაზე ვითვნა საქართველოს სამუდამოდ არ შერჩა:—მეთოთხმეტე საუკუნეში ოსმალების ძლიერმა ტალღამ გადათელა ეს გზა, აღებ-მიცემობას ჯვარი დაუსვა და საქართველო კავკასიის უზარმაზარ მიუკარებ კლდეებზე მიაჯვა.

გადიკეტა ეს გზა, ჩამოეშორდა საქართველო აღებ-მიცემობას, დაეცა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა და მასთან ერთად გადაიკეტა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების შემაერთებელი ძარღვიც.

ამის შემდეგ განვლო მრავალმა საუკუნემ და საქართველოს შეერთება არ ჰქონია.

ქართველობა საოცარი სიდინჯით უყურებდა, თუ როგორ ჰქრებოდა ჩვენში ეროვნული თვით-შეგნება. თუ როგორ იყოფებოდა ერი ტომებად, თუ როგორ ქვეითდებოდა ერი პოლიტიკურად, მაგრამ გვწამდა, რომ მონობის საუკუნეში მკვდარს, თავისუფლების ხანაში გაუღვიძებოდა.

საქართველო არასოდეს არ იფიქრებდა რუსეთთან შეერთებას, რომ ეროვნულ გაერთიანების სურვილს არ წარეტაცოს და მოეტყვილებინოს.

საქართველოს ეროვნულად გაერთიანების იდეა პოლიტიკურ ჯურღმულში იქმნა ჩანწყობილი, ეროვნულად დაშლის პროცესს ნიადაგი გაუორკეცეს, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების დამოუკიდებლობა მაზრის ღირებულებაში გადაიყვანა და საქართველოს ეროვნული აღორძინება ეროვნულ დაქსაქსვაში გამოიხატა.

განა დიდი ხანია მას აქეთ, რაც მეგრულ ენას „მეცნიერული“ გამორკვევით უკრაინულ ენას უფრო უახლოვებდნენ, ვიდრე ქართულს—და ამის დასამტკიცებელ „უტყუარ არგუმენტად“ ის მოჰყავდა, რომ სამეგრელოში ბაყაყები ისე ყიყინებენ როგორც უკრაინაშიო?!

ასეთნაირი მახეები მათ საქართველოს სხვა კუთხეებშიც სცადეს, ზოგან დამარცხდნენ და ზოგან ჩვენდა სამწუხაროდ გაიმარჯვეს. ასეთნაირი პროვოკაციულ პროპაგანდის წყალობით მოხდა, რომ მაჰმადიანმა საქართველომ რჯული ეროვნებად აღიარა და თავისთავს „თურქი“ უწოდა, თუმცა იმავე დროს თავის სამშობლოს გულჯისტანს ეძახდა.

აშკარა იყო რომ საქართველო რუსეთის სახელმწიფოებრივ ნანგრევებზე ააფრიალებდა თავისუფლების დროშას.

პირველად მთელი საქართველოს კუთხეების თავისუფალი ხმა, ჩვენ ეროვნულ დემოკრატ. პარტიის დამფუძნებელ კრებაზე ვისმინეთ... ამ კონფერენციაზე ყველა ჩვენი კუთხის წარმომადგენელი გამოცხადდა, რომელთაც მგრძნობიარე სიტყვებში ფიცი დასდეს, რომ დღეიდან ყველა საქართველოს მთლიანობას ემსახურება.

ხოლო ხევსურეთის წარმოდგენელმა გოგოლურ ჰანჭარაულმა ცრემლ-მორეულად განაცხადა:—თუ ქართველები არ ვიქნებით, მაშ ჩვენს სამშობლოს საქართველო რად ჰქვიანო.

ამ კონფერენციამ პირველად იწინასწარმეტყველა საქართველოს გაერთიანება. უეჭველია, ამ დღიდან უნდა დაწყებულიყო ახალი ეპოქა საქართველოს ცხოვრებაში.

კონფერენციის შემდეგ იდეა მთლიანი საქართველოს ჩვენში თანდათან იზრდება და ხალხში ფესვებს იკრეფდა.

ს.-დემოკრატების მიერ საქართველოს ტერიტორიალ თვითმართველობის მიღება, ეროვნული ინტერ პარტიული საბჭოს დაარსება ს.-დემოკრატ აკაკი ჩხენკელის მიერ დემოკრატიულ თათბირზე საქართველოს პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის აღიარება და ბოლოს, საქართველოს ეკლესიის აღდგენაში მთელი ქართველი ერის მონაწილეობის მიღება იმის უტყუარი საბუთია, რომ ეროვნულ საქართველოს მთლიანობის იდეას საქართველოში ყველა იზიარებს განურჩევლად მიმართულებისა, კუთხეებისა და სარწმუნოებისა.

კიდევ ერთი ნაბიჯი და მთლიანი საქართველო ფაქტი იქნება. მაგრამ ეს უკანასკნელი აქტი ძნელია... თუმც რუსეთის ძველი რეჟიმი დაიმხო, მაგრამ რუსეთში „მესამე რომოშა“ ჯერ კიდევ მთლად ერთიანად არ გამქრალა და შესაძლებელია რომ ფრთებ მოჰრილი, დამარცხებული რუსეთი ერთხელ კიდევ შეებრძოლოს საქართველოსო.

მხოლოდ ერთში დარწმუნებული უნდა ვიყოთ: საქართველოს დამარცხება დღეს შეუძლებელია!.. თუ გუშინ ამ იდეიას მხოლოდ ერ. დემოკრატიული პარტია ჰქადაგებდა, დღეს იდეა იგი ქართველი ხალხის იდეათ არის აღიარებული და თუ ძველი რუსეთი მთლად არ არის დანგრეული, მაშინ გათვითცნობიერებული ქართველი ხალხი მას სრულებით დაანგრევს და მის ნანგრევებზე თავის ეროვნულს, საქართველოს მთლიანობის დროშას ააფრიალებს.

მ. ხაიჩხელი

*) ნ. ჟ—ნია. რჩეული ნაწერები სტრიქონი 20—21.

# პატარა ფელეტონი

## თავადი თოდა

(დასასრული)

IV

ბოქაულობა საკმაოდ კარგად შეიშვნია გიორგიმ. დაივიწყა ამხანაგებიც, თავზე გადამხდარი ამბები. პარტიის კაცობამაც დიდი გამოცდილება შესძინა. ეჭვდღერობა ისე იყო, რომ წერა ხეირიანად არ იცოდა, მაგრამ უმიოდა ძლიერ მიდიოდა, რადგანაც ამაში დიდად ეხმარებოდა მისი მეუღლე ცაცა, რომელიც ბოქაულობის მილებიდანვე შეირთო. საკანცელარიო საქმე და უფროსებთან მიწერ-მოწერას ის აწარმოებდა, გიორგი მხოლოდ ხელისმოწერით კმაყოფილდებოდა. „ნასწავლი ცოლი მყავსო“,—ამით ამაყობდა იგი.

ყველა ბედნიერებასთან ერთად მოითხოვა, რომ მისთვის „გიორგი აბესალომიჩი“ არ ეკმარებინათ, თუ „კნიაზს“ არ დაუძახებდნენ, ან „ვაშე სიატელსტვოს“. მთელს ოლქს ქარიავით, რომ დაჰქროლავდა, ყველას ეღლთმელეთი მოსდიოდათ. ბეგებმა მას „გიჟი კნიაზი“ დაარქვეს. ბავშვებს მისი სახელით აშინებდნენ. რომ მისი გული მოეგოთ, ათასობით მოჰქონდათ ძღვენი. საჩუქრებს ხომ ნუ ბრძანებთ: როგორც მას, ისე მის მეუღლეს ოქროს საათი თავისი საჩქაულებით, ძვირფასი ბეჭდები ლალი და ზურმუხტ-იაგუნდის თვლებით მისაავაზეს სახსოვრად. ერთი სიტყვით, დიდად გაბედნიერდა ძველი თოდა, ახლა კი „გიჟი კნიაზი“.

კნეინა ცაცამ დიდად გაიხარა შვილის „ხელმწიფის კაცად“ გახდომა. ოთახები შესანიშნავად მორთეს. არ გეგონოთ, სტილი არ ყოფილიყოს დაცული. ერთსა და იმავე კედელზე ირმისა და შვლის რქებსა, ხმალსა და ხანჯალს თუ ნახავდით, აქვე შესამჩნევად ნიკოლოზ მეორის სურათს, მისი სასახლის წევრთა პორტრეტებს, ცაცას შესანიშნავს სურათს, აგრეთვე ილიას და აკაკის,—ხუმრობა ხომ არ იყო, ეხლაც დიდად პატრიოტობდა. თუმცა ჩვენს მგოსნებს მხოლოდ სახელით იცნობდა! ასეთ გემოვნებით მორთულობას სულ ცაცას აწერდა, სულ იმისი განათლებული გემოვნების ბრალია, თორემ მე პოლიციელობის მეტი რა გამეგებაო.

მის გაამაყებას ცაცათი ხომ საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ქალვაჟი შეეძინა. ორივეს სათუთად ზრდიდა. ქართული ენა არ აკადრა. მე რა შემძინა ქართულმა, შვილებს რაში გამოადგებათო. გადაწყვეტილი ჰქონდა, პატარა კუკური პოლტავაში გაეგზავნა, რომ სადვორიანლიში მის შვილს ყველასთვის ეჯობნა და ახალგაზრდავე შტაბ-კაპიტანის ხარისხით ჩამობრძანებულიყო. ერთი ის სწყინდა, რომ კუკური აგერ ხუთი წლისა გაუხდა კიდეც და საბედისწერო ომმა იფეთქა კიდეც. ყველა დაფაცურდა. გიორგის სწყუროდა, რომ კუკური ეხლა ვაჟკაცი ჰყოლოდა, გერმანიის ფრონტზე გამარჯვებული ენახა, რომ მალე მის სახელს მთელი ქვეყნიერება აელაპარაკებინა. გულის მოსაოხებლად პატარა იარაღში ჩაჰსვა, ჩამოუკიდებდა ვილჰელმის სურათს, ხელში რევოლვერს დააჭერინებდა, თვითონვე დაამიზნებინებდა და თანაც აწინზებდა: „აბა, პლაპოლჩიკო, პლი!“ რევოლვერიც იგრიალებდა. გიორგი ჰკოცნიდა შვილს და თან თავს აყვედრიდა: რატომ ცოლი ადრე არ შევირთე, კუკური რომ მართლა „პრაპორჩიკი“ მაინც მყოლოდაო!

V

მაგრამ საფიქრებელი თავის თავად ჩამოეცალა. გულდამშვიდებით გიორგი თავის საბოქაულოში დათარეშობდა, როდესაც სტრაჟნიკმა უფროსის სასწრაფო მოწერილობა გადასცა. გულში გაჰკენწლა. მაღლა აწეული ულვაშები თავისთავად ძირს ჩამოეშვა.

— რა მოხდა?—ჰკითხა უფროსს, როდესაც მის კაბინეტში შევიდა. მის სიფითრეს უფრო ზედმეტი აღშფოთი აჰვარდა, როდესაც უფროსიც აცახცახებული დაინახა.

— აი, აი... წაიკითხეთ..

უფროსმა უმაღლესი საიდუმლო მოწერილობა გადასცა, სადაც ეწერა: „ხალხს მეტის ბატიის მოეპყარით... უმ ლლესი მთავრობა გადაყენებულია... მათი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი...“

გიორგიმ ვეღარ ჩაათავა. ასე ეგონა, წერილს ცეცხლი მოედოო, თითქოს ხელში სცეკვავდა უცნაური მოწერილობა.

— არ მჯერა... არა...

— დაიჯერეთ, ვაშე სიატელსტვო, დაიჯერეთ...

თავის ქნევით უპასუხა უფროსმა.

— მერე ჩვენ?.. ჩვენ რა უნდა ვქნათ?

— იარაღი დაჰყარეთ... შიგა სწერია...

განუმარტა უფროსმა. ზარ-დაცემული ძლივს წავიდა ბინაზე. კარი მაგრად ჩაჰკეტა. ცაცა ეკითხებოდა და-

ბმარების საიდუმლოს, მაგრამ დიდხანს ვერა გათქმევინა რა.

— ჩამომეცალე, ქალო, რას ჩამაცივდი?!.

როცა კარგა მოღამდა, ოთახები კარგად ჩაკეტა, სარკმლებს ფარდები ჩამოაფარა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ხომ სხვა არავინ გვიყურებსო. ბურახში ეგონა თავი. დასარწმუნებლად ცაცას ხელი წაავლო: შენ ხომ ცაცა ხარ?—ცაცა შეშინდა.

— გაგიჟდა, თუ?..

ახლა კი დაწვრილებით უამბო გიორგიმ რაც იცოდა. ცაცას ხუმრობა ეგონა. მაგრამ ქმრის შეშინებული სახე რომ დაინახა, ატირდა. გიორგიმ ბანი მისცა. ეხუტებოდნენ. ერთმანეთს ამაგრებდნენ, აქ რაღაც გაუგებრობააო. ახლა მხოლოდ დილის მოსვლა-ლა იყო მათი ნუგეში, ვნახოთ, რა იქნებაო.

VI

გათენდა. ფარდები სიფრთხილით გასწიეს. ჯერ ცაცა გავიდა აივანზე. ბიჭს დაუძახა. ბიჭი არ გამოჩნდა. პიშკართან გასულიყო და დახვენილ კბილებით ცხენსავით ხვიხვინებდა.

— მაილ... აქ მოდი...

მაილმა ხვიხვინს უმატა. ცაცას გული გაუსკდა. ცოლ-ქმარი უკან გამობრუნდნენ.

— კნიაზ პაგონები მოიხსენ!—უ! მოესმა უკინიდან გიორგის მაილის ხითხითით შემოძახილი.

— გაუგიათ!—გაიფიქრა და მაშინვე შეუდგა სამზადისს, რომ ხალხის თვალში გმირად გამოსულიყო. სასწრაფოდ გაიძრო მუნდირი. შემდეგ კედლიდან მეფისა და სეფე ქალთა სურათები ჩამოიღო. სამეფო დროშა სარდაფში თვითვე გადაჩქმალა. ბოლოს კუკურის პატარა წითელი ბაირაღი დააქერინა და ასე გამოემართა გარედ.

ქუჩა ჰღელავდა. ხალხის ტალღა უკვე მოედანს აწყდებოდა. სადაც ორატორნი გადმომდგარიყვნენ და ცეცხლის სიტყვებით ხალხს თავისუფლებას აუწყებდნენ. გიორგის დანახვაზე უნდოდათ ეცვარნათ, მაგრამ ბავშვის ხელში რომ წითელი ალამი დაინახეს, შეჩერდნენ და ერთხმად დაიძახეს: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ გიორგიმ სიტყვა ითხოვა: „ხალხო, მეც ცხვენიან ჩემი თავის... მეც თქვენთან ერთად მოველოდი თავისუფლებას. ფარულად კომიტეტს ყოველისფერს ვატყობინებდი, რომ არ შეეტყო მთავრობას, უჯიათობას გაყვნებდით. ეხლა კი აღსრულდა: გაუმარჯოს ხალხს... გაუმარჯოს რევოლუციას. ძირს საზიზღარი ძველი რეჟიმი!

ხალხმა იგრიალა. ვაშას ძახილი ცას სწვდებოდა. ეხლა კი გული მოიცა თავმომწონედ გამობრუნდა. შინ შესვლისთანავე სარკმლიდან უზველეზელი დროშა გადმოჰკიდა, რომელიც ცაცას სახელდახელოდ შეაკერვინა.

ცაცა ეხარულობდა, რომ ხალხის თვალში გმირი გახდა მისი მეუღლე. თვითონ გიორგიც ცას სწვდებოდა, რომ ხალხმა ასეთი ნდობა გამოუცხადა, თუმცა ეხრებზე რომ დაიხედა და პაგონები ვერ დაინახა, გული აუდუღდა. ზლაზვნით შევიდა საკუთარს ოთახში. მონახა იქვე განზედუდად მიყრილი პაგონები, აილო და დიდხანს, ძალიან დიდხანს ელერსებოდა.

— მშვიდობით... მშვიდობით... უთქვენოდ ხომ ისევ უბედური თოლა გავხდები... დღეს არა, ხვალე მაინც გაიგებენ, ვინა ვარ... მოგნახვენ და... მშვიდობით... მშვიდობით

ლოყებთან მიიხუტა. ტრაგიზმი მისი სულისა ქვეყნის დაღუპვას უდრიდა. დიდის ამბით აილო, სათუთად ქადალდში გახვია, ბუხრის საკვამურში შენახა, იქნება როდისმე გამომადგესო და მუშტმოღერებით დაიძახა:— ეჰ, დიდას დავეულე! ერთი თუ ბედი შემოტრიალდა, მაშინ...

მაგრამ ხმა ჩაუწყდა. გაფითრდა. შიშით აქეთ-იქით მიიხედა, ხომ ყური არავინ მომკრაო და კანკალით შენიშნა თავს:

— ფრთხილად, ფრთხილად... ეხლა კედლებიც კი საციხილოტობენ... ე მანდ თავზე ჰერი არ ჩამოინგრეს...

მეორე დღეს ცაცა და თავიანთ კუკურის „სლავსას“ და „ბოჟე ცარიას“ ნაცვლად მოტეხილ ენით ამღერებდნენ:

„მუშავ, წინ გასწი, მტერი ძირს დასცი“...

მათს წარმოდგენაში ეხლა მათზე დაწინაურებული და რევოლუციური სულით გაჟღენთილი აღარავინ იყო. ისე მოსჩანდა, ძველი რეჟიმი მხოლოდ მათ ძლიერი ნიჭისა და მოქმედების ნაღმს აეფეთქებინოს! თოლა ამ შემთხვევაში კვლავ, „წითელ გიორგით“ მოინათლა...

დ. კასრაძე

## არტაანის მხარეში*)

ნასოფლარი ქოფალი არტაანიდან 17—18 ვერსის სიშორეზე ერთ მაღალ კლდის ძირას მტკვრის ძირას დევს. სიტყვა ქოფალი დამახინჯებულია, ჩემის ფიქრით უნდა იყოს ქობალი, რადგანაც ქოფალი არც თათრულია, არც ქართული და არც მეგრული, მხოლოდ ქობალი-კი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს პურს, ანუ ხორბალს. იქვე ნასოფლარი ყიზილ-კილისაა. ყიზილ-კილისა თათრული სახელია და ნიშნავს ოქროს საყდარს. ნასოფლარის ზემოდ ერთი მოზრდილი ეკლესიის ლამაზი თეთრი ქვისაგან ნაგები კედლები დგანან, დანარჩენი დანგრეულია. იქვეა სოფ. ფანკისი. ეს სოფელიც მტკვრის პირად მთის ფერდობზეა გაშენებული. აქ ქურთები ცხოვრობენ. იქვე ნასოფლარი ბებერი—აქ არის. ეს ნასოფლარი ადგილიც მტკვრის პირად მთის ფერდობზეა, რომლის ზემოდ ვეებერთელა ეკლესიის კედლები-ღაა დარჩენილი. შემდეგ იწყება ნასოფლარი თუთიყუში, ეს ნასოფლარი ადგილი, რაღაც უშნო და უალაგო ადგილას ყოფილა გაშენებული, ალბათ ამისათვის დაურქმევიათ თუთიყუში. იქვე აღმართული კლდეზე საშუალო ზომის ციხეა გაშენებული, რომლის ნახევრად დამტვრეული კედლებიღაა დარჩენილი. შემდეგ იწყება ს. ქორგარი ესეც მაღლა მთაზეა გაშენებული და ქვეშ მტკვარი ჩაუდის. აქ ქურთები ცხოვრობენ. ქორგართან ახლოს, პატარა ხევის პირად სოფელი სიხარბეთია. აქვე ნახევარ ვერსის მოშორებით მაღალ კლდეზე დიდი ციხე ყოფილა გაშენებული, რომლის ნახევრად დანგრეული კედლები-ღაა აქაც ქურთები ცხოვრობენ. შემდეგ იწყება სოფელი არ დამალი. აქაც კლდის მაღლობზე პატარა ლამაზი ციხე მდგარა, რომლის დანგრეული, მაგრამ ზოგ ადგილას მაღალი კედლები დღესაც დარჩენილა. აქაც ქურთები ცხოვრობენ. შემდეგ იწყება ს. ფანიკი. სოფ. ფანიკი მთის ძირადაა გაშენებული და ცხოვრობენ ქურთები. იქვე მთის აღმართზე ერთი დიდი ეკლესია ყოფილა გაშენებული, მაგრამ ბოროტ ხელს ქვების საჭიროებისა გამო დაუნგრევია, ქვები წაუღია და ნანგრევის კარ შედღღებული პატარ-პატარა უვრგისი ქვები იქვე დაუყრიათ. შემდეგ იწყება დიდი ყურტ-ოღლი რაც ნიშნავს ქართულად მგლის შვილს. აქაც ქურთები ცხოვრობენ. დიდი ყურტ-ოღლის მაღლობზე საშუალო ზომის ეკლესია ყოფილა აშენებული, მაგრამ, როგორც ფანიკის ციხის ქვები ესეც დაუტაცნიათ და ამით თავიანთათვის ქურთებს სახლები აუშენებიათ. იქვეა ახლოს პატარა ყურტ-ოღლი. აქაც ქურთები ცხოვრობენ. აქაც მაღლობზე ისეთივე ეკლესია ყოფილა გაშენებული, როგორც დიდ ყურტ-ოღლში, მაგრამ ესეც ისე გაუძარცვავთ, როგორც დიდ ყურტ-ოღლისა. იქვე ნასოფლარი შავ არის.

შემდეგ ნასოფლარი კოლია. ესეც დამახინჯებულია, უნდა იყოს მე მგონის კოლი და არა კოლი, კოლი არც ქართულში და არც თათრულშია აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე ახლოს ს. ლეემლია. ლეემლში ქურთები ცხოვრობენ. ლეემლის ცოტაოდი გაშორებით ს. ბაირამ-ოღლია. აქაც მოზრდილი ეკლესია ყოფილა, მაგრამ ადგილობრივ ქურთებს დაუნგრევიათ და ქვები თითონ მოუხმარიათ. აქა იქ მხოლოდ დარჩენიათ პატარა კედლები, რომლიდანაც ქვები ჩამოუღიათ და მარტოკა კარის კედლებიღაა. სოფელი ომარაღაა. აქაც ქურთები ცხოვრობენ. შემდეგ იწყობა სოფელი ჩალაბაში. ჩალა ქართული სიტყვაა და ბაში კი თათრულია, რაც ნიშნავს თავს. აქ მაღლა ზე დიდი ეკლესია მდგარა, მაგრამ დაუნგრევიათ, მის ადგილზე ნანგრევები და დარჩენილა. აქაც ქურთები ცხოვრობენ. მთის გამოღმა ფერდობზე, ყარსის შარა-გზის პირად სოფელი ხასქეია, ხასქეი თათრული სახელია და ქართულად ნიშნავს კარგ სოფელს. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია და ორიც ციხე; ციხე რომელიც მთაზე მთელია, სოფლისა კი დაუნგრევიათ, რომელთა ნანგრევები-ღაა დარჩენილი. იქვე სამი ვერსით მოშორებული ზედ ხევის ფერდობზე სოფელი ხევის კარია გაშენებული. აქაც ქურთები ცხოვრობენ. შემდეგ კარგა მოშორებით ნასოფლარი ადგილი შანუა. აქ, ნასოფლარის პირა, საყდარი მდგარა, რომელიც დაუნგრევიათ. მთისა და ხევების გაღმა ნასოფლარი შანუს მოშორებით ს. ჩობან-კეხი არის. ჩობანი თათრული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს მწყემსს, კეხი კი ქართულია. აქაც ქურთები ცხოვრობენ. ზედ ჩობან-კეხის შესავალთან პატარა მთის პირს ცოტათი მოშორებით მიწიდან ორ-სამ ადგილას მოზრდილი წყაროა. სწორედ იქ, სადაც ჩობან კეხის წყაროა, ეკლესია ყოფილა, მხოლოდ ეკლესიის გვერდით წყაროს აუზია, მაგრამ დღეს ორივე დაუნგრევიათ. ერთი ვერსით მოშორებული ს. ჩობან-კეხიდან ნასოფლარი ორდინაქია.

ორდინაქის მახლობლად წყაროებია, საიდანაც იწყობა მტკვრის სათავე. შემდეგ სოფელი უჩ-კილისაა. უჩკილისა თათრული სიტყვაა, ნიშნავს სამს საყდარს. როცა ამ სოფელში თათრები გადმოსულან, სოფლის სახელი არ ცოდნიათ, მხოლოდ რადგანაც სოფელში სამი ეკლესია უნახამთ იმათაც უჩ-კილისა დაურქმევიათ. დღეს აქ ბერძნები სცხოვრობენ. აქ სოფელთან ახლოს სამი ეკლესიაა, ერთი დანგრეულია და მის ადგილას, მისივე ქვებით ახალია ბერძნებისაგან აშენებული, მხოლოდ ორი ეკლესიაა, თითქმის მთელებია, მხოლოდ აქა-იქ კედლებიდან ქვები გამოუღიათ ადგილობრივ ბერძნებს. შემდეგ იწყება სოფელი ვარგენის, სიტყვა ვარგენ-ის, ანუ ვარგან-ის ქართულია. აქაც სამი ეკლესია ყოფილა. ერთი, რომელიც სოფელშია ვანგენესელ ბერძნებს დაუმტვრევიათ და მის ადგილას მისივე ქვებით ახალი ეკლესია აუშენებიათ, მეორე მთისა და სოფლის შუაა აშენებული, მაგრამ ეს დაუნგრევიათ, მხოლოდ ტრაპეზის ქვა და ბალავერი დაუტოვებიათ, რომლებიც დღესაცა დგანან, მესამე ეკლესია მაღლა მთაზეა. ეს კი თითქმის მთელია, რომელსაც ბერძნები წმ. ილიას ეკლესიას ეძახიან, მაგრამ ეს სინამდვილე არ არის. ბერძნები საზოგადოდ მთაზე აშენებულ ეკლესიებს წმიდა ილიასას უწოდებენ, რადგანაც მას მთაზე უყვარდა ცხოვრება და მთიდანვე განაგებდა ჰაერს, საიდანაც უგზავნიდა ქვეშ დედამიწას წვიმასო. იქვე სამი ვერსის სიშორეზე ტრიალ მინდორზე სოფელი არფა-შენია. სიტყვა არფა თათრულია და ნიშნავს ქერს, მხოლოდ შენი კი ქართულია, შეიძლება არფაშენი ანუ ქართული იყოს და ანაც აბაშენი ან და კიდევ არაშენი, რადგანაც ქურთებს მრავალი ქართული სიტყვები აქვთ დამახინჯებული. იქვე სოფელი თელი ოღლია. თელი-ოღლი ქურთის სახელია. შეიძლება ეს ქართული სოფელი, როგორც უპატრონოდ დაგდებული, მიითვისა ვინმე ქურთმა და თავისი სახელი უწოდა. შემდეგ თელი-ოღლისა ხირ-მზიანია. ეს სოფელი მთის ფერდობზეა, რომელიც დილიდან საღამომდე პირდაპირ მზეს უყურებს. აქ სამი ეკლესიის ნანგრევებია, ორი დანგრეულია, რომელთა მარტო პატარ-პატარა კედლების ნაშთი-ღა დარჩენილა, ხოლოდ ერთი მთელია. აქაც ქურთებია. იქვე ნასოფლარი არფა-ერმეზია, არფა-ერმაზ თათრულია, რაც ქართულად ნიშნავს „ქერი არ ჰმა“-ს. აქაც არის ეკლესიის ერთი ნანგრევი. იქვე ნასოფლარი სინა-ბეზანი. ეს არ ვიცი რა სიტყვას შეადგენს. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია. შემდეგ იწყება ნასოფლარი ხარაბა-ხევი. ხარაბა თათრულია, ნიშნავს აოხრებულს, ხევი ხომ ვიცით, რომ ქართულია. აქ ორი ეკლესია ყოფილა: პატარა ეკლესია, რომელიც ნასოფლარშია მთლად დანგრეულია, მხოლოდ აქა-იქ კირში შედღებული ქვების ხროვა-ღა დარჩენილი, მეორე დიდი მაღლობზეა, რომლის კედლებიღაა დარჩენილი. თვით ეს ნასოფლარი ხევშია. იქვე ნასოფლარი არხი-ოღლია, რაც ნიშნავს ქართულად გახდარის შვილს. შემდეგ ერთ დიდი ხევის პირად სოფელი ხევია. აქაც ქურთები ცხოვრობენ. აქაც არის ერთი დიდი ეკლესიის ნანგრევი. შემდეგ იწყება სოფ. კუნდრუკი. კუნდრუკი ქართული სახელია და როგორც მგონია გუნდრუკსა ნიშნავს. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვეა ნასოფლარი ქამარბელი. აქ დიდი ეკლესიაა, რომელიც დაუნგრევიათ. ქამარბელთან ახლოს სოფელი ფლორმარია. აქაც ქურთები ცხოვრობენ. შემდეგ იწყება ნასოფლარი ოლჩევანი. ოლჩევანის შემდეგ მთაზეა სოფელი ხარაბა-ალთუნ-ბულახ, რაც ნიშნავს გაოხრებულ ოქროს აუზს. მართლაც აქ დღესაც ეტყობა, რომ მშვენიერი აუზი ყოფილა წყაროზე. აქ სოფლის თავის მაღლა კლდეზე ერთი დიდი ციხე დგას, რომლის კედლები დღესაც მთელია. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე სოფელი ზვინია. ზვინი ქართული სახელია. მართლაც ეს ადგილი იმერულ ჩალის ზვინსა ჰგავს. აქაც ქურთები ცხოვრობენ. შემდეგ იწყება სოფელი ხოშ-დოღლბანდი. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე სამი ვერსის მოშორებით სოფელი აშურია. აქ 6 კომლი, ანუ 58 სული ქართველი მაჰმადიანი არის. შემდეგ ჩრდილოეთით სოფელი დემურ-ყაფია, რაც ნიშნავს ქართულად რკინის კარს. აქ სულ ბერძნები ცხოვრობენ. აქ ერთი ეკლესია ყოფილა, რომლის ნაშთი-ღაა დარჩენილი. იქვე ერთი ვერსით თათრის დემურ-ყაფია. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე ნასოფლარი ყარაყულაა, რაც ნიშნავს ქართულად „შავი-ციხეს“. ყარა-ყულას გვერდით ვეებერთელა მთაა და აი ამ მთაზე ერთი დიდი ციხეა გაშენებული შავი ქვისაგან. იქიდან გადმოსული მოვედი ნასოფლარ ხერთეოზში. აქ ერთი დიდი ეკლესია მდგარა მთაზე, მაგრამ დღეს მარტო მისი მაღალი კედლებიღაა დარჩენილი. ხერთეოზის შემდეგ ნასოფლარი მალალ-ჯიხაა. მალალ-ჯიხა ქართული სიტყვაა, მხოლოდ ჯიხა კი მეგრულია, რაც ნიშნავს კოშკს. მართლაც აქ კლდეზე ეხლაცა დგას კოშკისავით აყვანილი პატარა, მაგრამ მაღალი ციხის კედლები.

ქ. მარტყოფლელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო“ № 220.

## კორესპონდენცია

### ქართლიდან

**ს. რუისი** (გორის მაზრა). იანვარიდან ს. რუისში დაარსდა კოოპერატიულ ნიადაგზე დუქან-მაღაზია „ნუგეში“. თუმცა ამ საქმეროს ბევრი მტერი გამოუჩნდა.—რად გინდათ, რომ თქვენი ფული სხვამ შეჭამოს, თუ ფული გაქვთ აქ მოიტანეთ და ჩვენ საქონელზე უარს არასოდეს არ გეტყვითო. ურჩევდნენ იქაური ვაჭრები იმათ ვისაც ჩაწერა სურდათ კოოპერატიულ დაწესებულებაში. მაგრამ იმათმა აგიტაციამ ჩვენ „ნუგეშს“ ვერაფერი დააკლო, მხოლოდ მათი რიცხვი კი თანდათან კლებულობს, და იძულებული ხდებიან გამოეთხოვონ რუისს, რადგანაც მათ დუქნებში ძალიან ცოტანი ვაჭრობენ. „ნუგეში“ კი ძლიერდება, მას ეხლა 600—700 წევრი ჰყავს და დუქანიც სავსეა ყოველივე წვრილმანით და ფართლეულობით.

ს. რუისის ქალთა წრემ თავის დაუღალავი მუშაობით დაარსა საფეიქრო სკოლა. მთელი ზაფხული ქალთა წრე მის ზრუნვაში იყო, რომ რამდენიმე გროში ეშოვნა სკოლის ფონდის გასაძლიერებლად. ამ მიზნით ქალთა წრე მართავდა წარმოდგენებს. ლოტარეა-ალეგრებს და სხვა.

ს. რუისის და ურბნისის პირდაპირ გაკეთდა რკინის გზის ბაქანი. თითქმის 16 წელიწადია ვცდილობთ ამ საქმეს და მხოლოდ თავისუფალ ხანაში დაგვირგვინდა ეს საქმე. ბაქნის გამართვაზე დიდი ღვაწლი მიუძღვით ნიკოლოზ და გრ. ფანიაშვილებს. აგრეთვე ს. ურბნის მღვდელს იოანე სალარიძეს და ადგილობრივ კომისარს გიორგი ბუზიაშვილს. ამ ბაქანს დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე მხრივ. აღძრულია თხოვნა, რო ამ ბაქანზე საქონელს ღებულობდენ და ბილეთებს ჰყიდდენ. ეს თხოვნა უეჭველად უნდა იქმნეს შეწყნარებული, რადგანაც ს. ურბნისში საეპისკოპოსო კათედრა დამტკიცდა.

გ.

### ქიზიყიდან

თუმც წელს ქიზიყში მოსავალი ძრიელ მცირედი მოსულა, მაგრამ ზოგიერთ სოფლებში იმდენი მოსავალი ყოფილა, რომ შორს რომ არ წაეღებულიყო მთელს ქიზიყს ეყოფოდა, და ფუთი ხორბალი თუმანზედ მეტად არ გაიყიდებოდა. მაგრამ აქ თავი უჩენია, სასურსათო კომიტეტს, სადაც შედიან გ. ნაცვლიშვილი, დ. გონაშვილი და ევ. ნატროშვილი, რომელთაც გამოუციათ მოწოდება რევოლუციის სახელით და სასტიკად აუკრძალიათ გლეხთა შორის ყოველგვარ სურსათ-სანოვაგის ყიდვა-გაყიდვა. ხალხს ჰპირდებოდნენ გამოკვებას მონოპოლიის საშუალებით, მაგრამ დღემდის არა სჩანს-რა. ამიტომ იყო, რომ ქიზიყელმა გლეხებმა რამდენჯერმე სთხოვეს სასურსათო კომიტეტს: მოგვეცით მოწმობები,*) ჩვენ თვით მოვიტანთ ჩვენთვის საჭირო სურსათსაო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მე მახსოვს 1-ლ მარიამობისთვის რიცხვებში სოფ. მირზაანელები ეხვეწებოდნენ დ. გონაშვილს და სთხოვდნენ მოწმობებს, მაგრამ დიმიტრიმ უპასუხა „პური მე მომთხოვეთ, და მე მოგიტანთო. და მოწმობ ს მიცემაზე კი ხელი გაქნია, აღარა მთხოვოთო. ძალა უნებურად მოტყუებული გლეხი დაემორჩილა, და ელოდებოდა როდის მოუტანდა დიმიტრი მას პურს...

საბოლოოდ ისიც გამოირკვა, რომ მონოპოლიის დაარსება ოცნებად დარჩა... დიმიტრიმ გლეხებს პური ვერსაიდან მოუტანა, და რაც ქიზიყში პური მოიპოვებოდა ისიც დაახლოვებით 4,500 ფუთი ჩარჩ-მოვაჭრეებმა ზაქათალა-ბელექანში გაიტანეს.

როდესაც ქიზიყში მთლად გამოილია პური, და ფუთი ხორბალი 21 მანეთზე მეტი ავიდა და აღარც საშოვარია, ეხლა ჩვენმა დიმიტრიევმა გლეხებს ნება დართეს „სურსათი შეიძინეთო, ჩვენ ვეღარ მოგიტანთ პურსაო“. აი პატრონობაც ასეთი უნდა! კომიტეტობაც ამათ დაიკვეხონ, რომ თითონ, თვეში თითო მათგანი ჯამაგირს იღებს ოც თუმანს კომიტეტებიდან, ათ-ათ თუმანსაც სასოფლო კასებიდან იღებენ! ამავე დროს კი ქიზიყელი გლეხები ქიზიყიდან ზაქათალაში დაძრწიან გაზიდულ პურის უკანვე წამოსაღებად, რაიც ერთი სამად უჯდებათ მათ. ზოგი ხომ „განჯა-თიანეთში“ დაიარება პურის შესაძენათ, რადგან ახლო-მახლო აღარსად მოიპოვება.

ვისაც სახლში ვაჟკაცი მოეპოვება, ის, როგორც იქნება, იშოვნის და გამოჰკვებავს თავის ცოლშვილს, მაგრამ რა ჰქნან იმ ოჯახებმა, რომელთაც შვილები ომში ჰყავთ გაგზავნილი და შინ მარტო მანდილოსნები არიან დარჩენილნი?

შემდეგ: მინდა შევეკითხო ჩვენს კომიტეტებს, რა დახმარება აღმოუჩინეს მეომრის ოჯახებს, რომელთაც ოთხ-ოთხი ვაჟკაცი ჰყავთ გაგზავნილი ბრძოლის ველზედ, და შინ მათი ცოლშვილი მშიერი იხოცებიან? არაფერი! ერთი სიტყვით დღეს მთელი ქიზიყის სოფლების სალაპარაკო მარტო სიმშილი და სასურსათო კომიტეტების მოქმედება გახდარა. ესენი თვითვე ვეღარ ჰმალვენ საშინელ მღელვარებას, და თუ ჩვენმა დიმიტრიევმა დროზე არ უშველეს თავს, მწარე გასამართლებას ვერ ასცდებიან, როგორც ეს [illegible] კომიტეტები.

ევ. ნატროშვილი

*) ქიზიყში კომიტეტების განკარგულებით თუ სასურსათო კომიტეტის მოწმობა არ ექნება გლეხს, ის ვერა ვითარ სასურსათოს ვერ გაიტანს ვერც ერთ სოფლიდან.

გ. ნ.

რედაქტორი **ზაქარია ფიფიაშვილი.**

## კალენდარი

### კვირა, ღვინობისთვის 8

კვირა 20. ხმა 3.

**ქართვ.** ღირს. დედისა ჩვენისა პელაგიასი.
**კათოლ.** ბრიგიტისა.
**მაჰმად.** ექ-შამბე 5 რ. მუხარამ 1336 წ. ჰიჯრისა.
**ებრაელ.** იერიშენ 5 რ. ხეშვანისა 5678 წ. ქვეყ. შექ.

### ორშაბათი ღვინობისთვის 9

**ქართვ.** წმ. მოც. იაკობ, ალფესისა, ღირ. მამ. ანდრონიკესი და ცოლისა მისისა ათანასიასი.
**კათოლ.** წმ. დიონისესი.
**სომეხ.** წმ. ლუკა და ერმონისისა.
**მაჰმად.** დუ-შამბე 6 რ. ზულჰიჯა 1336 წ. ჰიჯრისა.
**ებრაელ.** იომშენი 6 რ. თიშრისა 5678 წ. ქვ. შექ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

| | | | |
|---|---|---|---|
| **თბილისიდან გადის:** | | | |
| ბათუმისაკენ | სწრ. | № 5, | 11.32 დღ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 საღ. |
| პეტროვსკისაკენ | სამგზ. | № 19, | 8.17 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 3, | 9.51 დილ. |
| „ | სწრ. | № 4, | 8.46 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 12.15 საღ. |
| **თბილისში მოდის:** | | | |
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.08 დილ. |
| „ | სწრ. | № 4, | 7.41 საღ. |
| ბაქ.-პეტროვ. | სამგზ. | № 20, | 7.57 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 საღ. |
| ბაქოიდან | სწრ. | № 8, | 10.26 დილ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.20 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | სწრ. | № 8 ბის, | 7.58 დილ. |

ექიმის თანაშემწე
ვანო სამთაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს სად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით ავადთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
33—748—თ.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და აიაშენგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნებით) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—35)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

1 ოქტომბერს—მცხეთიობას მეექვსე სავაჟო გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფემ ნიკოლოზ მამულაშვილმა დაჰკარგა
პალტო
მპოვნელს სთხოვს აცნობოს შემდეგი მისამართით: ყაზბეგის ქუჩა № 25, ნიკოლოზ მამულაშვილს, სათანადო ჯილდოს მიიღებს.
2—2

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—28

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სტომატოლოგიური ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.
თ—4

საავადმყოფო
ხამხიდრო იძიმ ხპეციალისტებისა მოსხაოხლე ავადმყოფებისთვის,
დიდი ვანქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 481.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელაძე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეგეჭკორი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახვლედიანი—ყურის, ყელის და ცხვირის. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფერაძე—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მიქაძე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩიქოვანი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგიაშვილი—ქალთა და საბავშო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ოხოკინი—ქალთა და საბავშო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზიშვილი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტოროცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ანჯაფარიძე—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—81

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გამბიეს შესახვევი № 4.

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“